საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

25/02/2025

MES 1 25 0000357266

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 აგვისტოს №1022124 ბრძანება "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო და სადოქტორო და "ადგილობრივი თვითმმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შესახებ".

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება,

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ადგილობრივი თვითმმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2032 წლის 11 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო, "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო და სადოქტორო და "ადგილობრივი თვითმმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის სხდომის №210336 ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები

• ჯგუფური პროექტების შეფასებებს აკლია თანმიმდევრულობა ინდივიდუალური შეფასების კომპონენტში, რაც უკავშირდება სტუდენტის წვლილს ჯგუფურ მუშაობაში - შესაბამისად, რეკომენდებულია უფრო მკაფიო განმარტებების ჩამოყალიბება როგორც სილაბუსებში, ასევე დავალების შეფასების კრიტერიუმებში.

• შეფასებაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ როგორ გაიზომება ინდივიდუალური მონაწილეობა ჯგუფურ პროექტებთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასებების გამჭვირვალობას. ეს ინფორმაცია მკაფიოდ უნდა იყოს ასახული სილაბუსებსა და დავალების კრიტერიუმებში, რათა სტუდენტებმა ნათლად გაიგონ, თუ 7 როგორ აისახება მათი წვლილი საბოლოო შეფასებაზე.

რჩევები:

- სასურველია, GIPA–მ "დანერგოს იმ ახალი სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმები, რომლებიც პროგრამის სტრუქტურისა და სწავლის მიზნების განახლების შედეგად არის მიღებული, განსაკუთრებით დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით." სასურველია, ეს განხორციელდეს კლასტერის მომდევნო შეფასებისთვის, გასაუმჯობესებელი მხარეების გეგმის შესაბამისად.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა და GIPA –ს ადმინისტრაციამ შეიმუშაონ დამსაქმებლებთან სწავლის შედეგების კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი. დამსაქმებლების მოსაზრებებზე დაყრდნობით, GIPA-მ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კომპეტენციების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი, ასევე რბილი უნარებისა და ციფრული/ ხელოვნური ინტელექტის უნარების განვითარება. კურსდამთავრებულთა წინადადებაა, გაიზარდოს კომუნიკაცია სწავლის შედეგების განხილვის მიზნით, რათა უკეთ იქნეს წარმოჩენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგებს შორის განსხვავება.
- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებში გადაიხედოს და განხილული იქნას სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის დონე (Mastering) ისე, რომ ის არ შემოიფარგლოს მხოლოდ საკვალიფიკაციო ნაშრომით. (ბიზნეს-გეგმა) - საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში და მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი - სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში.
- სასურველია, შუალედური და დასკვნითი შეფასებები სილაბუსებში უფრო დეტალურად და მკაფიოდ იყოს აღწერილი.
- სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს რბილი უნარების, ასევე შესაბამის პროფესიულ სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარის განვითარებას.
- სასურველია, გადაიხედოს სილაბუსები და განახლდეს იმგვარად, რომ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად მოიცავდეს ქართულენოვან ლიტერატურასაც, რაც შესაბამისობაში იქნება პროგრამების სწავლების ენასთან.
- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს ინფორმირებულობა სამეცნიერო მოთხოვნების მინიმალური სტანდარტების შესახებ.
- სასურველია, რომ GIPA-ს ადმინისტრაციამ გამოკვეთოს საჯარო მმართველობის პროგრამების ძირითადი უპირატესობები და მთავარი მახასიათებლები და მათზე დაყრდნობით განავითაროს სასწავლო პროგრამები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 11 თებერვლიდან.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა